ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №14. 14231502

თარიღი:30/05/2023

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილების, „ქ. ბათუმში გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №გ-15.152311810 განკარგულებისა და „ქალაქ ბათუმში დასახლებაში გონიოში არსებული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №გ-15.15231189 განკარგულების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ში მითითებული პლაჟის მონაკვეთების, მათზე მსუბუქი კონსტრუქციების განსათავსებლად 4 თვით, 2023 წლის 15 ივნისიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის.

**2.** ბრძანების პირველი პუქტით განსაზღვრული პლაჟის მონაკვეთების 1 კვმ.-ის 4 თვის საიჯარო ქირა (15 ივნისიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით) განისაზღვროს 11,70 (თერთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით (1 კვმ-ის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 35 ლარს).

**3.** დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართი 2-ის და დანართი 3-ის შესაბამისად.

**4.** ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელ-მწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

**5.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

**6.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

**7.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

**8.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დანართი 1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2023 წლის 30 მაისის
№ბ14. 14231502 ბრძანების

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №1 | 200 | 2340 |
| 2 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №2 | 300 | 3510 |
| 3 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №3 | 500 | 5850 |
| 4 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №4 | 300 | 3510 |
| 5 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №5 | 300 | 3510 |
| 6 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №6 | 300 | 3510 |
| 7 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №7 | 300 | 3510 |
| 8 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №8 | 500 | 5850 |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №9 | 300 | 3510 |
| 10 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №10 | 300 | 3510 |
| 11 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №11 | 300 | 3510 |
| 12 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №12 | 300 | 3510 |
| 13 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №13 | 300 | 3510 |
| 14 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №14 | 300 | 3510 |
| 15 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №15 | 300 | 3510 |
| 16 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №16 | 300 | 3510 |
| 17 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №17 | 400 | 4680 |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №18 | 300 | 3510 |
| 19 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №19 | 300 | 3510 |
| 20 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №20 | 300 | 3510 |
| 21 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №21 | 300 | 3510 |
| 22 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №22 | 300 | 3510 |
| 23 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №23 | 500 | 5850 |
| 24 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №24 | 300 | 3510 |
| 25 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №25 | 300 | 3510 |
| 26 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №26 | 300 | 3510 |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 27 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №27 | 300 | 3510 |
| 28 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №28 | 500 | 5850 |
| 29 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №29 | 500 | 5850 |
| 30 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №30 | 500 | 5850 |
| 31 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №31 | 500 | 5850 |
| 32 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №32 | 300 | 3510 |
| 33 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №33 | 300 | 3510 |
| 34 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №34 | 300 | 3510 |
| 35 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №35 | 300 | 3510 |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 36 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №36 | 300 | 3510 |
| 37 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №37 | 300 | 3510 |
| 38 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №38 | 300 | 3510 |
| 39 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №39 | 300 | 3510 |
| 40 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №40 | 300 | 3510 |
| 41 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №41 | 425 | 4972 |
| 42 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №42 | 425 | 4972 |
| 43 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №43 | 425 | 4972 |

**დანართი 2**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**მერის 2023 წლის 30 მაისის**
**№ბ14. 14231502 ბრძანების**

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) | ,,ბე"/საგარანტიო თანხა (ლარი) | ვაჭრობის ბიჯი (ლარი) | ობიექტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №1 | 200 | 2340 | 1170 | 70 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 2 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №2 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 3 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №3 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 4 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №4 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 5 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №5 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 6 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №6 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 7 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №7 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 8 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №8 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 9 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №9 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 10 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №10 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 11 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №11 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 12 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №12 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 13 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №13 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 14 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №14 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) | „ბე"/საგარანტიო თანხა (ლარი) | ვაჭრობის ბიჯი (ლარი) | ობიექტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №15 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 16 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №16 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 17 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №17 | 400 | 4680 | 2340 | 140 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 18 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №18 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 19 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №19 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 20 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №20 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 21 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №21 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 22 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №22 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 23 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №23 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 24 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №24 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 25 | ქ. ბათუმი, გონიო კვარიათის დასახლება | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.26.873 | №25 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 26 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №26 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 27 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №27 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 28 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №28 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 29 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №29 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |

| № | მისამართი | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | მიწის ნაკვეთის № | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | 4 თვის საწყისი საიჯარო ქირა (ლარი) | „ბე"/საგარანტიო თანხა (ლარი) | ვაჭრობის ბიჯი (ლარი) | ობიექტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №30 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 31 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №31 | 500 | 5850 | 2925 | 180 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 32 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №32 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 33 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №33 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 34 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №34 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 35 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №35 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 36 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №36 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 37 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №37 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 38 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №38 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო) |
| 39 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №39 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 40 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №40 | 300 | 3510 | 1755 | 105 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 41 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №41 | 425 | 4972 | 2486 | 150 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 42 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №42 | 425 | 4972 | 2486 | 150 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |
| 43 | ქ. ბათუმი, დასახლება გონიო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.36.24.920 | №43 | 425 | 4972 | 2486 | 150 | მსუბუქი კონსტრუქცია (კაფე-ბარი, ბუნგალო), მიმდებარედ საშხაპე გასახდელით. |

**დანართი 3**
**დამტკიცებულია**
**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**მერის 2023 წლის 30 მაისის**
**N**№14. 14231502 **ბრძანებით**

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს პირობებიან ელექტრონულ აუქციონს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და გონიო-კვარიათის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე მსუბუქი კონსტრუქციების განსათავსებლად იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

- ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის წესი: პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.
- სარგებლობის ვადა: 4 თვე: 2023 წლის 15 ივნისიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.

- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე).
- აუქციონში მონაწილების მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილებს გამოცხადებულ სააუქციონო პირობებს.
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო ვადაში გამოცხადდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში და ხელშეკრულების დასადებად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 07 კალენდარული დღის ვადაში.

**სააუქციონო პირობები:**

1. აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი „ბე“ (50%) ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი ქირის ოდენობაში. იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, მოიჯარე (აუქციონში გამარჯვებული) სრულად იხდის სახელშეკრულებო პერიოდის სარგებლობის საფასურს;
2. სარგებლობის ვადა: 4 თვე:2023 წლის 15 ივნისიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.
3. აუქციონზე განკარგული ქონების სარგებლობის საფასურის სრულად გადახდა შემდეგ ვადებში: სრული სარგებლობის საფასურიდან გადასახდელი 50%-ის („ბე“-ს თანხის გამოკლებით) გადახდა 2023 წლის 15 აგვისტომდე.

4. აუქციონი გამარჯვებულს უფლება აქვს იჯარის უფლებით სარგებლობაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე განათავსოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით თანამედროვე დიზაინის, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა კვების ობიექტის მოწყობის მიზნით (კაფე-ბარი, ბუნგალო).
5. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ასევე მოაწყოს საპირფარეშო, რომელიც იქნება საერთო სარგებლობის (უფასო).
6. აუქციონში გამარჯვებულს უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის ობიექტი (კაფე-ბარი, ბუნგალო) განათავსოს მიწის ნაკვეთის არაუმეტეს 50%-ზე.
7. მოიჯარეს ეკრძალება მიწის ნაკვეთზე მიწასთან მყარად დაკავშირებული ნაგებობის (მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი) განთავსება;
8. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, სარგებლობის უფლებით მიღებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, შესაბამისი ლოტით განსაზღვრულ, თანდართულ სიტუაციურ გეგმაზე მინიშნებულ ადგილზე მოაწყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული ესკიზის მიხედვით, თანამედროვე დიზაინის საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტი - საშხაპე გასახდელით.
9. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მიზნობრივად.
10. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს ყველა სახის კომუნალური მომსახურების საფასური და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელები.
11. აუქციონში გამარჯვებული საკუთარი საშუალებებითა და ხარჯებით უზრუნველყოფს სააუქციონო პირობების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვების ან/და სხვა უფლებების მოპოვებას.
12. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია განახორციელოს იჯარის უფლებით სარგებლობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მოვლა-პატრონობა, სანიტარიული ნორმების და უსაფრთხოების წესების დაცვა და შპს ,,სანდასუფთავება“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასუფთავება;
13. აუქციონში გამარჯვებულს ეკრძალება იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ნებისმიერი სახით შემოღობვა, ასევე მიწის ნაკვეთზე (პლაჟის მონაკვეთზე) ობიექტის/მსუბუქი კონსტრუქციის იმდაგვარად განთავსება, რაც შეუძლებელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირის ზღვის სანაპიროზე მოხვედრას.
14. აუქციონში გამარჯვებულ პირზე ქონების დროებით სარგებლობის უფლება გადადის საიჯარო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
15. მოიჯარე ვალდებულია იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება დააბრუნოს პირვანდელ (გამონთავისუფლებულ) მდგომარეობაში;
16. მოიჯარეს უფლება არ აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საიჯარო ქონება სარგებლობის უფლებით (გაქირავების, იჯარის, თხოვების ფორმით) გადასცეს ან სხვაგვარად დატვირთოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან წინასწარი თანხმობის გარეშე.
17. აუქციონში გამარჯვებულ პირს ეკრძალება სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებაზე განათავსოს მესამე პირის რეკლამა.
18. მოიჯარეს ეკრძალება სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სხვა სახის კონსტრუქციებისა და ობიექტის განთავსება;
19. აუქციონში გამარჯვებული, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში უნდა გამოცხადდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმების მიზნით.
20. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 07 კალენდარული დღის ვადაში საიჯარო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/„ბე“-ს თანხა არ უბრუნდება.

21. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს „ბე“ ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი „ბე“ ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

- აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2023 წლის 30 მაისს 16:00 საათზე და სრულდება 2023 წლის 12 ივნისს 14:00 საათზე.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება ელექტრონული აუქციონის პორტალზე - www.eauction.ge.
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (მის. ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; ტელ: (0422) 24 63 15; 24 63 06; 577 92 52 24; საკონტაქტო პირი - ხათუნა ალიშანიძე).

**აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი**

შედგენილია: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად.

**1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები**

1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1.2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებგვერდზე www.eauction.ge დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, ურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტ ბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა.

1.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „1.2.“ პუნქტის მოთხოვნები.

**2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი**

2.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „1.2.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, სარგებლობის საწყის საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

2.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

2.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

2.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

2.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს სარგებლობის საწყისი საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს სარგებლობის საწყის საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

2.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი. აუქციონში გამარჯვების თაობაზე აუქციონატორის მიერ დგება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება).

2.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

2.8. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს „ბე“ დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მისი შეტანის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის საფუძველზე. „ბე“ აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

2.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს „ბე“, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არ გადაიხადა ქონების სარგებლობის საფასური (საიჯარო ქირა).

2.11. „ბე“, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ განსაზღვრული წესი და პირობები.

**3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

3.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;
გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;
დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.
3.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება „ბე“, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.
3.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს სარგებლობის უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – სარგებლობის უფლება ვალდებულებებთან ერთად).
3.4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები უფლებამოსილია:
ა) სარგებლობაში მიიღოს მუნიციპალიტეტის ქონება;
ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.
3.5. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში მიმღები ვალდებულია:
ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;
ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს სარგებლობაში მიღებული მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასური და სრულად დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

**4. ანგარიშსწორება**

4.1. მომხმარებლის მიერ ლოტზე „ბე“-ს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

4.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის, ასევე „ბე“-ს გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.
4.3. მომხმარებლის მიერ ლოტზე „ბე“-ს გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე სარგებლობაში მიღებული ქონების სარგებლობის საფასურის გადახდა ხორციელდება, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და სხვა საშუალებებით.
4.4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ გადახდილი მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასური ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

**5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა**

აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებით.